ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 47
28/06/2017

47-08-4-201706281752

# განკარგულება

## მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსიდან ჩამოწერის, დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების)განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს №31 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ბალანსიდან ქონების ჩამოწერის წესის“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს №31 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის **საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სოფელ ერკეთში მდებარე შენობა- ნაგებობის (ყოფილი აბანო) (ს/კ 28.12.22.219) და სოფელ ბუკისციხეში მდებარე საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობის (ს/კ 28.13.22.039) გამგეობის

ბალანსიდან ჩამოწერის, დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების) განკარგვის თაობაზე.

**მუხლი 2.** განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

**მუხლი 3.** განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა